საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4498
17/08/2022

4498-21-2-202208171137

შპს „გალონს“
მის: თბილისი, ივანე იუმაშევის ქ. №13ე
ელ.ფოსტა: gigachoko@gmail.com Gegelashviligivi@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3553 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილზე ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი და დაზუსტებული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ობიექტზე იგეგმება არსებული რეზერვუარების (№1 - 25.615 მ^3; №2 – 25.615 მ^3; №3 – 25.615 მ^3; №4 – 25.326 მ^3) დემონტაჟი და მათ ნაცვლად ახალი რეზერვუარის განთავსება (ჯამური მოცულობა 72.206 მ^3), რომელიც გატიხრულია ორი ურთიერთპერპენდიკულარული კედლით, ოთხ ნაწილად (№1 - 99.52 მ^3; №2 - 27.040 მ^3; №3- 27.396 მ^3; №4 - 7818 მ^3). დოკუმენტში წარმოდგენილი რეზერვუარის გატიხვრის შემდეგ მიღებული მოცულობები, შეუსაბამოა ჯამურ მოცულობასთან (72.206 მ^3). შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყალაღებისა და სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით კორექტირებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო